ხელშეკრულება №145

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქარელი 6 სექტემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ „ქარელის მუნიციპალიტეტი" (შემდგომში – შემსყიდველი), საკრებულოს თავმჯდომარის პაატა ღვინიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ქარელის კეთილმოწყობის სამსახური" (ს/კ 440885099) (შემდგომში – მიმწოდებელი) დირექტორის მამუკა ჩიბირაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: (CPV45200000)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქარელის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 6 სექტემბრის #94 და #95 განკარგულების საფუძველზე), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესასყიდია: სოფ. ბრეძაში დაზიანებული ხიდის ბურჯის აღდგენა–გამაგრების და დაბა აგარაში თაბუკაშვილის ქუჩაზე პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე 60–ბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული საკანალიზაციო ქსელის აღდგენის სამუშაოები (იხ.ხარჯთაღრიცხვა)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 13523,25 (ცამეტიათასხუთასოცდასამი ლარი და 25 თეთრი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, ერთი წლის მანძილზე გამოვლენილ დეფექტს და ნაკლს აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 ნოემბრის ჩათვლით.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის, ფორმა 2 და შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით. თუ ვადაგადაცილებით დაკისრებული თანხის ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 5% მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.6 შესყიდვის განხორციელებისას პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 120%-ით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

12.3.. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
„ქარელის მუნიციპალიტეტი“	შპს "ქარელის კეთილმოწყობის სამსახური“
ს/კოდი: 240893002	ს/კ 440885099
მისამართი: ქ.ქარელი, ნინოშვილის ქ№3	მის: ქარელი, სტალინის ქ#26
ს.ს „ლიბერთი ბანკი" ქარელის ფილიალი	ტელ:
კოდი: 220101422	ბანკი კონსტანტა
ა/ა GE23LB0120117542234000	ბ/კ CNSBGE22
	ანგ# GE52 CN0 000 036 201 382 446
ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს	შპს "ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"-ს
თავმჯდომარე: პაატა ღვინიაშვილი	დირექტორი: შამუკა ჩიბირაშვილი

სოფ. ბრეძაში, დაზიანებული ხიდის ბურჯის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა										
№№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	გრუნტის გადაადგილება ძლიანრის კალაპოტში ბულდოზერით	კუბ.მ.	300			2.5	750.0	15.00	450.0	1200.0
2	ბეტონის ბლოკების დატვირთვა ავტოთვითმცხანელზე, ჩაფილება ადგილზე და ძოწყობა ძლიანრის კალაპოტში ხიდის ბურჯის გასამაგრებლად.	ცალი	18			60.00	1080.00	40.00	720.0	1800.00
	ჯამი:									3000.00
	ზედნადები ხარჯები: 8 %									240.00
	ჯამი:									3,240.00
	გეგმიური დაგროვება: 6%									194.40
	ჯამი:									3,434.40
	დღგ 18%									618.19
	ჯამი:									4,052.00

შემსრულებელი: _____ სერგო ლეკიშვილი

დ. აგარაში, ჩოლიყაშვილის ქუჩაზე, 60-ანი საცხოვრებელი სახლის და თაბუკაშვილის ქუჩაზე, პოლიციის მიმდებარედ კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	თხრილის დამუშავება ექსკავატორით, დატვირთვა ავტომანქანაზე და გატანა 3 კმ-ზე	კბ.მ	25,0	0,0	0,0	5,0	125,0	5,0	125,0	250,0
2	ჭის ფილის ქვესაგები ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, სისქით 10 სმ.	კბ.მ	0,7	5,0	3,5	10,0	7,0	14,0	9,8	24,8
3	თხრილში ჭის რგოლების მოწყობა სიმაღლე 0,5მ. დ=1მ.	ც	7	75,0	525,0	5,0	35,0	35,0	245,0	805,0
4	ჭის ძირში მონოლითური ბეტონის მოწყობა	კბ.მ	0,5	130,0	6,5	50,0	2,5	50,0	2,5	11,5
5	ჭის გადახურვის ფილის მოწყობა თავსახურით	ც	7	500,0	3500,0	5,0	35,0	35,00	245,0	3780,0
6	ჭის გვერდების გამონგრევა სანგრევი ჩაქუჩით	კბ.მ	0,1	0,0	0,0	100,0	10,0	0,0	0,0	10,0
7	თხრილში მილის ქვეშ და ზემოდან ქვიშის ბალიშის მოწყობა	კბ.მ	8,0	22,0	176	2,0	16,0	14,0	112,0	304,0
8	პლასტმასის გოფრირებული მილის მოწყობა დ=0,2მ.	გრძ/მ	100,0	15,0	1500,0	1,0	100,0	0,5	50,0	1650,0

9	კანალიზაციის ქსელის მიერთება არსებულზე	წერტ.	2,0	0,0	0,0	25,0	50,0	0,0	0,0	50,0
10	ბეტონის საფუძვლის მოწყობა	კბ.მ	0,6	130,0	78,0	50,0	30,0	30,0	18,0	126,0
	ჯამი:									7 011,30
	ზედნადები ხარჯები: 8 %									560,90
	ჯამი:									7 572,20
	გეგმიური დაგროვება: 6%									454,30
	ჯამი:									8 026,50
	დღგ 18%									1 444,75
	ჯამი:									9 471,25

სივრცითი მოწყობის,
არქიტექტურულ-სამშენებლო და
ინფრასტრუქტურის განვითარების
განყოფილების უფროსი: ზურაბ ლეკიშვილი